პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 75 (7636)

18 აპრილი
ოთხშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ნომერში:

პროვოკაციებს დაუფარავად გეგმავენ
(1-ლი გვ.)

„ეს გაუმარჯოს ტანჯვით შენახულ, მალვით შენახულ თქვენს ქართველობას“...
(1-ლი და მე-2-3 გვ.)

უნგრელ ფეხბურთელებთან მატჩის წინ
(მე-4 გვ.)

სტარტს 22 აპრილს აიღებს
(მე-4 გვ.)

ასპარეზობენ იუნიორი ქალოსნები
(მე-4 გვ.)

დავიცვათ ოლიმპიური ქარტია

16 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მოეწყო საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მარატ გრამოვის პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

ჩვენი პოზიცია ნათელია. ჩვენ მხარს ვუჭერთ ოლიმპიურ თამაშებს, სადაც დაცული იქნება ოლიმპიური ქარტია და ოლიმპიადების ტრადიციები, — განაცხადა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. გრამოვმა პრეს-კონფერენციაზე. მან დამსწრეთ მოაგონა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება, რომელშიც გამოთქმული იყო სერიოზული შეშფოთება ოლიმპიური თამაშების დაწყების წინ ლოს-ანჯელესში შექმნილი ვითარების გამო. გამოჩნდნენ ისეთები, ვინც ეს განცხადება განმარტა, როგორც საბჭოთა დელეგაციის სწრაფვა უპირატესობის მიღწევისკენ და საბჭოთა მხრიდან ლოს-ანჯელესის თამაშების ბოიკოტის თავისებური პრელუდია. ორივე ვერსია ამახინჯებს სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოზიციას და ფაქტიურად პრობლემების გადაწყვეტისაგან თავის არიდების ცდაა.

ლოს-ანჯელესის თამაშებისათვის მზადების მიმდინარეობა ოლიმპიური ქარტიის დარღვევაზე მეტყველებს. მ. გრამოვმა დაასახელა სერიოზული დარღვევის რამდენიმე ფაქტი. წესით, ყველა მონაწილე ერთ ადგილას უნდა ცხოვრობდეს, ლოს-ანჯელესში კი სპორტსმენთა დაბინავებას ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სამ ოლიმპიურ სოფელში აპირებენ.

წესის თანახმად, ოლიმპიურ სოფელში შეჯიბრების მონაწილენი თამაშების გახსნამდე სამი კვირით ადრე უნდა ჩავიდნენ, ლოს-ანჯელესში კი სპორტსმენთა ინტერესებისა და აკლიმატიზაციის პრობლემების გაუთვალისწინებლად გადაწყვიტეს ორი კვირით ადრე მიიღონ ისინი.

ლოს-ანჯელესის კერძო საორგანიზაციო კომიტეტმა თამაშების მონაწილე ქვეყნებისგან მოითხოვა 1 მარტამდე შეეტანათ დიდი ფულადი გადასახადი. ესეც ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას.

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის კილომეტრად გაყიდვის თაობაზე თამაშების ორგანიზატორთა მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ სამართლიანად აღაშფოთა საბერძნეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ყველა ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია ოლიმპიზმის სიმბოლოები და ტრადიციები.

ლოს-ანჯელესის თამაშების კერძო საორგანიზაციო კომიტეტის ფინანსური გასაჭირი გასაგებია — ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას ხომ არავითარი თანხა არ გამოუყვია მისთვის. ამასთან, აშშ-ის ადმინისტრაციის ზოგიერთი აქცია გაუგებარია მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობისთვის. ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, თამაშების მასპინძელ ქვეყანაში ჩასასვლელად სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ექიმებს, ჟურნალისტებს მხოლოდ ოლიმპიური მოწმობა სჭირდებათ, მაგრამ მოსკოვში აშშ-ის საელჩოს ამასწინანდელი ნოტის თანახმად, საბჭოთა დელეგაციის წევრებმა ვიზის მისაღებად სპეციალური ფორმები უნდა შეავსონ. ნოტიდან აშკარად ჩანს, რომ სწორედ საელჩო და არა საორგანიზაციო კომიტეტი, როგორც ეს მიღებულია, განიხილავს დელეგაციათა სიებს და გასცემს ვიზებს. ჩვენთვის უმნიშვნელო როდია, ეტყვიან თუ არა ოლიმპიური ოჯახის რომელიმე წევრს უარს ვიზის გაცემაზე ანუ თამაშებზე წასვლაზე, ვინაიდან ამან შეიძლება გავლენა იქონიოს სპორტსმენთა გამოსვლაზე. სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე დაარღვია ოლიმპიური ქარტია, როცა ვიზაზე უარი უთხრა საბჭოთა ოლიმპიურ ატაშეს.

ლოს-ანჯელესის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა პ. იუბეროტმა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადების პასუხად აღიარა, რომ მოსკოვში აშშ-ის საელჩომ დაარღვია ოლიმპიური ქარტია. მაგრამ თუ აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მათ შორის თეთრი სახლის წარმომადგენლის ლ. სპიკსის ნათქვამის მიხედვით ვიმსჯელებთ, სახელმწიფო დეპარტამენტი, ახლა უკვე მთავრობის ნებართვით, სულაც არ აპირებს შეცვალოს თავისი მიდგომა შეერთებულ შტატებში საბჭოთა ოლიმპიური დელეგაციის გამგზავრებისადმი. აშშ-ის საელჩოს ახალი ნოტიდან ნათლად ჩანს, რომ საკითხის არსი არ შეცვლილა. მოითხოვენ დელეგაციის სია წარედგინოს არა საორგანიზაციო კომიტეტს, არამედ ამერიკის საელჩოს, რომელიც, როგორც ჩანს, გადაწყვეტს, ვინ გაუშვას და ვინ არ გაუშვას მსოფლიო ზეიმზე.

საბჭოთა საზოგადოებას არ შეიძლება არ აშფოთებდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გაჩაღებული ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური კამპანია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სხვადასხვა ჯურის ტერორისტული ორგანიზაციები ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან საბჭოთა სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ჟურნალისტებს, დაუფარავად გეგმავენ პროვოკაციებს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ოლიმპიადის მომწყობ ქვეყანაში ფართო კამპანია ტარდება თამაშებში ქვეყნების მთელი ჯგუფის მონაწილეობის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ოლიმპიადებისთვის დამახასიათებელ რა სტუმართმოყვარეობაზე შეიძლება ლაპარაკი? განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველა მონაწილეს თანაბარი პირობები ექნება? სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მტკიცედ მოითხოვს, რომ ჩვენი სპორტსმენებისთვის და ყველა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის ლოს-ანჯელესში ცხოვრების ნორმალური პირობები შეიქმნას.

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადების შემდეგ აშშ-ის ოფიციალური წრეების წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ თავიანთ ქვეყანაში ანტისაბჭოთა ისტერიის ალვირახსნილობა. ამავე დროს, ისინი ცდილობდნენ შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ამ კამპანიაში მონაწილე მემარჯვენე ორგანიზაციებს მხარს არ უჭერს თეთრი სახლი და რომ ადმინისტრაციას არ შეუძლია „კონტროლი“ გაუწიოს მათს თვალსაზრისს. მეორე მხრივ, ამერიკის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ

ამ ორგანიზაციის მეთაურებს სიამოვნებით იღებდნენ თეთრ სახლში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან შეთანხმების დადებისას, რომელშიც ბევრ სხვა საკითხთან ერთად ლაპარაკი იყო ლოს-ანჯელესის პორტში ჩვენი სამგზავრო ხომალდის სტატუსზე, აეროფლოტის ჩარტერულ რეისებზე, აგრეთვე ყველა ოლიმპიურ ობიექტზე საბჭოთა ჟურნალისტების დაშვების შესახებ, გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და, წინააღმდეგ ოლიმპიური ქარტიისა, ყველა საკითხი ხელახლა უნდა იქნეს განხილული დიპლომატიური არხებით. ერთი სიტყვით, სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩამოაშორა საორგანიზაციო კომიტეტი წმინდა ოლიმპიური პრობლემების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას.

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წინააღმდეგია თამაშებზე რადიოსადგურების — „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ აკრედიტებისა, რადგან ისინი, არღვევენ რა ოლიმპიური ქარტიის 51-ე წესს, მთელი რიგი ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან. სარაევოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა და სოკ-მა მტკიცე პოზიცია დაიჭირეს, როცა ეს პრობლემა თამაშების წინ განიხილეს. ახლა შეერთებულ შტატებში ეს საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში.

რეაქციული წრეები სვამენ საკითხს, რომ ოლიმპიურ მოძრაობაში კვლავ ჩაებას თავის დროზე ოლიმპიური ოჯახიდან გარიცხული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — ქვეყანა, რომელიც აპარტეიდის პოლიტიკას ახორციელებს და რომელიც დაგმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. მსგავს გეგმებთან დაკავშირებით აფრიკის ბევრმა ქვეყანამ პროტესტით მიმართა ლაოოკ-ს, აშშ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს აფრიკის კონტინენტის ქვეყნების სამართლიან მოთხოვნას.

—საბჭოთა სპორტსმენები, — თქვა მ. გრამოვმა, — დაძაბულად ემზადებიან თამაშებისთვის, სურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ შეჯიბრებაში და იმედოვნებენ, რომ თამაშებზე ყველა პირობა იქნება შექმნილი კეთილსინდისიერი მეტოქეობისა და ყველა ქვეყნის ათლეტთა მეგობრული ურთიერთობისთვის.

მ. გრამოვმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას. მან თქვა, რომ სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მაისის ბოლოს შეიკრიბება და გადაწყვეტს ზაფხულის ოლიმპიადაში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის საკითხს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, აღმოიფხვრება თუ არა ოლიმპიური ქარტიის დარღვევები, რომელთა გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება.

სოკ-ის პრეზიდენტის ხ. ა. სამარანჩის თანხმობა ლოზანაში შეხვედრის მოწყობაზე იმას მოწმობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ეთანხმება ჩვენს განცხადებაში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას, რასაც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტებიც უჭერენ მხარს.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გარიჟრაჟზე თუკი რომელიმე კუთხემ შეიტანა წვლილი ქართული სპორტის ბალავრის ჩაყრასა და ტრადიციების შექმნა-განმტკიცებაში, ერთ-ერთი პირველთაგანი აჭარა იყო. დედა-საქართველოს ეს ულამაზესი და უმშვენიერესი მხარე მუდამ იყო და რჩება ქართული სპორტის ერთგულ მოჭირნახულედ. ახლაც, როცა ჩვენს რესპუბლიკაში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის ყველა რგოლში საქმიანობის რადიკალურად გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს.

ჩვენი საერთო საქმე

საინტერესო და სახელოვანი ისტორია აქვს საბჭოთა აჭარის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. ამ ისტორიის თავფურცელი სამოცდასამი წლის წინათ დაიწერა. ეს ის დრო იყო, როცა მრავალტანჯული მხარე პირველ ნაბიჯებს დგამდა ახალი ცხოვრების გზაზე, როცა საფუძველი ეყრებოდა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას, ყალიბდებოდა პირველი ფიზკულტურული წრეები, კოლექტივები, ორგანიზაციები. ამ ექვსი ათეული წლის მანძილზე აჭარის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა. დღეისათვის აჭარაში არსებულ 569 ფიზკულტურულ კოლექტივში 130 ათასზე მეტი ადამიანია გაერთიანებული. მარტო შარშან მომზადდა 38 234 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი, 44 056 მშდ ნიშნოსანი, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა 22 კაცმა. ოსტატობის კანდიდატისა — 167-მა; აქაურ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა განკარგულებაშია 3 ფეხბურთის სტადიონი, 56 ფეხბურთის, 242 კალათბურთის, 302 ფრენბურთის, 130 ხელბურთის მოედანი, 115 სპორტული დარბაზი, 2 საცურაო აუზი, 7 სასროლო ტირი, 8 ჩოგბურთის კორტი, ათეულობით სპორტული კომპლექსი და მარტივი ტიპის მოედანი; ჯანმრთელობის ჯგუფებში გაერთიანებულია 3 562 კაცი, ტურიზმის სექციებში — 17 476, საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულთა რიცხვმა კი 77 960-ს მიაღწია.

ეს მონაცემები იმისთვის მოვიტანე, რომ მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შეექმნას აჭარის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასშტაბებზე, იმის შესახებ კი, თუ როგორ ასრულებენ აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციები ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს, როგორია სამომავლო გეგმები, რა პრობლემების წინაშე დგანან ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები, შეიტყობთ ინტერვიუდან, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზია მამუჟაძე.

● ბატონო ზია, ალბათ აჯობებს თავდაპირველად მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაზე შევჩერდეთ. მოგეხსენებათ, მასობრიობა ათასობით ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებაზე ზრუნვასაც გულისხმობს და სპორტული ტალანტების გამოვლენისთვის, ეგრეთ წოდებული დიდი სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი საფუძვლების შექმნასაც. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის სექტემბრის ცნობილ დადგენილებას; მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაფართოება-გაუმჯობესების თაობაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა წლეულს, 21 იანვარს გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზეც...

— აქტივის კრებამ ბევრი რამ ახლებურად წარმოაჩინა, თვალნათლივ დაგვანახა რა გვაქვს გასაკეთებელი. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტია და მთავრობა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანების გვერდით აყენებს. აქტივის კრებაზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მხოლოდ იმ საზოგადოებას შეუძლია ეფექტიანად იზრუნოს თავისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლებისათვის, რომლის წევრებსაც კარგი ფიზიკური ჯანმრთელობა აქვთ“. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე მეტად რთული და სერიოზული ამოცანებია დასახული. კარგად გვესმის, რომ ამ ამოცანათა გადასაჭრელად აუცილებელია მთელი ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის ამოქმედება, თავდადებით მუშაობა. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმები, გადავდგით პირველი ნაბიჯები ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტული კლუბების, სპორტულ საზოგადოებათა მუშაობის გასააქტიურებლად, ყველაფერს გავაკეთებთ კადრების გადახალისებისა და მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მუშაობის ყველა უბანზე შემოქმედებით, საქმიან ატმოსფეროს შევქმნით.

ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებისას მხარში გვიდგას ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ამოცანებს სისტემატურად სწავლობს და იხილავს საქართველოს კომპარტიის აჭარის სა-

(დასასრული მე-2-3 გვ.)

სპორტული აჭარა: სადღეისო პრობლემე

ჩვენი საერთო საქმე

დასასრული

ლქო კომიტეტი, აჭარის მინისტრთა საბჭო, უფრო განმტკიცდა კონტაქტები ფიზკულტურულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის. ერთობლივმა მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცა: მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რაოდენობა, გამოცოცხლდა მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში, ახლა უფრო ხშირად იმართება მასობრივი ღონისძიებები: „მთელი ოჯახით სტარტზე“, „ჯანმრთელობის სპარტაკიადა“, „მთელი ბრიგადით სტადიონზე“; ტრადიციად დამკვიდრდა მორბენლის, მოცურავის, ფეხბურთელის, მოჭიდავის დღის, მშდ კომპლექსის კვირეულების ჩატარება..,

სხვა დადებით ძვრებზეც შეიძლებოდა საუბარი, მაგრამ უმჯობესია საქმეს სხვა კუთხიდან შევხედოთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ნაკლოვანებანიც ბევრი გვაქვს. სურათი რომ ნათელი გახდეს, რამდენიმე ციფრს მოვიტან. აჭარის მოსახლეობის ორი მესამედისთვის ფიზკულტურა და სპორტი მხოლოდ სანახაობად რჩება. დილის გამამხნევებელ ვარჯიშებს ჯერჯერობით მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი მისდევს. ფიზკულტურაში სისტემატურად 15,5 პროცენტი ვარჯიშობს, ხოლო სპორტულ მეცადინეობაში მხოლოდ 7,7 პროცენტია ჩაბმული.,

ეს ამბავი, ცხადია, გვაფიქრებს, გვაიძულებს დროულად ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, ფიზკულტურასა და სპორტში ჩავაბათ მოსახლეობის ყველა ფენა ბავშვებიდან დაწყებული, ხანდაზმულებით დამთავრებული. უნდა დავნერგოთ აქტიური დასვენების ეფექტური ფორმები. სტატისტიკური მონაცემების თანახმად ჩვენთან საწარმოო ტანვარჯიშში ოთხმოცი ათასამდე ადამიანია ჩაბმული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში ტანვარჯიში დაბალ დონეზე ტარდება, არ ახლავს მუსიკა, არასწორადაა შერჩეული ვარჯიშები. ყველასათვის ცნობილია, რომ საწარმოო ტანვარჯიში საგრძნობლად ამაღლებს შრომისუნარიანობას. მოვიყვან კონკრეტულ ფაქტს. ბათუმის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანებაში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის შემდეგ 10-12 პროცენტით შემცირდა ავადმყოფობა, შრომის ნაყოფიერება კი 2,1 პროცენტით გაიზარდა. უნდა ითქვას, რომ ბათუმის არცერთ მსხვილ წარმოება-დაწესებულებას ქალაქგარეთ არ გააჩნია ჯანმრთელობის კერა, ადგილებზე მოუვლელია ან საერთოდ არ არის სპორტული ბაზები.

● რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ სავალალო მდგომარეობაშია ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სპორტული ბაზები. რა გაკეთდა მას შემდეგ?

— ქარხნის დირექციას უყურადღებოდ არ დაუტოვებია კრიტიკა. წესრიგში მოიყვანეს საცურაო აუზი, რომელიც ახლა უზრუნველყოფილია ცხელი წყლით. ფეხბურთის მოედანზე შეკეთდა საშხაპეები, გასახდელები, ინტენსიურად მიმდინარეობს სპორტული დარბაზის რემონტი. საერთოდ, უნდა ითქვა, რომ აჭარაში სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. თუ საკავშირო სახლმშენის მიერ დამტკიცებული ნორმების და ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენ არსებულზე სამჯერ მეტი სპორტული ნაგებობა და მოედანი უნდა გვქონდეს. ბაზების ნაკლებობას განიცდიან სასწავლო დაწესებულებებიც. მაგალითად, ქედის რაიონის 27 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან მხოლოდ ათს გააჩნია სპორტული დარბაზი, ხულოს რაიონში 34 სკოლას არა აქვს დარბაზი, შუახევის რაიონში კი — 36-ს. ცხადია, ეს აფერხებს ფიზიკური აღზრდის პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას. შემოწმებამ ცხადყო, რომ სპორტულ სექციებში IV — X კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 30 პროცენტია ჩაბმული.

სერიოზული ხარვეზებია საშუალო სპეციალური, პროფტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში. ირკვევა, რომ მოსწავლეთა და სტუდენტთა დიდი ნაწილი არ მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს. გახშირდა შემთხვევები, როცა ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტების შტატებს დანიშნულებით არ იყენებენ. ასე მოხდა მაგალითად ციხისძირის ციტრუსების მეურნეობაში, ტბეთისა და შუახევის, ქაქუთისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობებში. ჩაქვის ციტრუსების მეურნეობაში კი საერთოდ გააუქმეს ინსტრუქტორის შტატი. მართალია, ვთქვი, რომ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გაშლილ ფიზკულტურულ მუშაობაში გარკვეული წინსვლა იგრძნობა, მაგრამ აქაც ყველაფერი რიგზე როდია. ბათუმის ექვსივე საბინაო- საექსპლოატაციო უბანში ფიზკულტურის მეთოდისტები კი ჰყავთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დღემდე ვერ გარკვეულა თავის ფუნქციებში, ვერ რაზმავს აქტივს, ქალაქის ეზოებში იშვიათად ნახავთ მარტივი ტიპის სპორტულ მოედნებს.

● სპორტის გულშემატკივრები კარგად იცნობენ აჭარაში აღზრდილ სპორტსმენებს, მათ არაერთ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი... როსტომ აბაშიძე, რუსუდან სიხარულიძე, სარქის სარხოიანი, პეტრე ბრეუსი, ვალერი ალთაბაევი, ვლადიმერ სვეტილკო, ბორის ფროლოვი, ანზორ კავაზაშვილი, იბრაგიმ ხარჯველაძე, ილია დათუნაშვილი, ვახტანგ ქორიძე, რევაზ ჩელებაძე, იგორ ომელჩენკო... სხვები და სხვები. საქართველოს ნაკრები გუნდები კვლავ ელიან შევსებას აჭარიდან, ელიან მაღალი კლასის სპორტსმენებს, ქართული სპორტის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებს...

— აჭარის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ყოველთვის იყო და არის ახალ-ახალი სპორტული ტალანტების წარმოჩენა. საქართველოს ნაკრებ კოლექტივებში მაღალი კლასის სპორტსმენების მივლინება. აჭარის მერვე საზაფხულო სპარტაკიადამ, რომელსაც წინ უძღოდა რაიონული და საქალაქო სპარტაკიადები, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას. ჩვენი სპორტული დელეგაცია საქართველოს სპარტაკიადაზე ურიგოდ არ გამოსულა — საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დავიკავეთ. საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის საქართველოს ნაკრებში აჭარის 24 საუკეთესო სპორტსმენი შეიყვანეს. ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები: ზაურ მჟავია და ნოდარ შანიძე (ბალახის ჰოკეი), კარლო გუგუშვილი (მაგიდის ჩოგბურთი,) ზაურ თავაძე (ფარიკაობა), ნელი აფაქიძე და იური მურვანიძე (აკრობატიკა), გოდერძი ბოლქვაძე და ნოდარ ჭანუყვაძე (კლასიკური ჭიდაობა), ამირან მოუა (მშვილდოსნობა) და სხვები. ერთგვარად გაუმჯობესდა მუშაობა სპორტულ სკოლებში, სპორტსაზოგადოებათა სპორტულ ჯგუფებში, ვზრუნავთ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამაღლდა მაჩვენებლები სპორტის ბევრ სახეობაში, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ჩვენი გულშემატკივრების, ქართული სპორტის წინაშე მაინც ვალში ვართ. პოზიციები დათმეს ჩვენმა მძლეოსნებმა, ნიჩბოსნებმა, წყალბურთელებმა, ტყვიის მსროლელებმა. სათანადო ბაზების უქონლობის გამო აჭარაში დანერგილი არ არის თანამედროვე ხუთჭიდი, ტრეკზე ველორბოლა, საცხენოსნო სპორტი. სხვა პრობლემებიც გვაქვს, მაგრამ პერსპექტივა გვპირდება, რომ უახლოეს წლებში აჭარის სპორტული მოძრაობა უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს და მეტ წვლილს შეიტანს საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში.

● არაფერი გვითქვამს ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებზე, რომლებმაც შარშან ასე გაახარეს ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები.

— შარშანდელ სეზონში ჩვენმა ფეხბურთელებმა მართლაც ივაჟკაცეს — ბათუმის „დინამომ“ საკავშირო პირველობის I ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ეს გამარჯვება უთუოდ დიდ სტიმულს მისცემს აჭარაში ფეხბურთის განვითარებას. ვფიქრობთ, ჩვენი გუნდი ახალ ასპარეზზე თავს არ შეირცხვენს. აჭარაში აღზრდილი ტყავის ბურთის ბევრ ჩინებულ ოსტატს დაუცავს თბილისის „დინამოს“, საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსება. ამჟამად საქართველოს პირველი გუნდის შემადგენლობაში ჩარიცხულია სამი ბათუმელი ფეხბურთელი: მალხაზ მახარაძე, გოჩა ჩიქოვანი და ასლან ბალაძე. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს უძლიერეს გუნდებში აჭარის სპორტსმენთა წარმომადგენლობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ბათუმის „დინამოს“ უფროს
მპიონატის დაწყების წინ ვესაუ
ბმა ორ-ორი მატჩი ითამაშეს.
რზე ბათუმელმა ფეხბურთელ
ორივე მატჩში გაიმარჯვა — კ
გოგრადის „როტორთან“ 2:1.

იშვიათად, რომ ბედმა კაცი ბ
ლომდე გაწიროს. შარშანდე
საფეხბურთო ავდარს ერთი ნათ
ლი მაინც დაჰყვა — ბათუმის „დ
ნამომ“ მძიმე და თავგანწირუ
ბრძოლების შემდეგ დამსახურ
ლად დაიკავა ადგილი პირველ
გაში. მჯერა, საქართველოში არ
და არავის ვატკენ გულს, თუ აჭარ
ლთა ამ გამარჯვებას ყველ
დიდ სიხარულს დავარქმევ, ისე
დიდი ხნის გადახვეწილი შვილ
მობრუნება რომ მოუტანს დედ
ვიცი, იმასაც გამიგებს და მ
ტიებს მკითხველი, თუ ვიტყ
რომ საქართველოს ამ ულამაზ
კუთხის ყველა სიკეთეს, განსა
თრებულად ალვიქვამთ, უფრო
მორჩეულად, ვიდრე ქუთაისელ
გორელთა, თბილისელთა, თელ
ლთა, სხვათა და სხვათა ნებისმ
წარმატებას.

მაგრამ სპორტს თავისი კანონ
აქვს — დღევანდელ სიხარ
ხვალ გულისტკენა შეცვლის,
მიღწეულ შედეგს საყრდენი
საფუძველი არ გავუმაგრეთ.

ამ სულისკვეთებით დაიწყო წ
ვანდელი საფეხბურთო სეზონის
მზადება ბათუმის „დინამომ“
ბუნებრივია, როცა აჭარისადმი
ძლვნილ გვერდს ვამზადებდით,
შეიძლებოდა გვერდი აგვევლო
ნი ახალამორჩენილი იმედის,
ახალგაზრდული გუნდის სამზად
სთვის.

დროით შეზღუდული ვიყა
და ბათუმის „დინამოს“ უ
მწვრთნელთან ვალერიან ჩხარ
შვილთან საუბარი საკმაოდ უ
ხულ დროს, შუალამისას მოე
მაინცდამაინც საინტერვიუ
ვერაა, მაგრამ ესეც რომ მოხერ
„ლელოს“ ბათუმელ კორესპ
დენტს ოთარ მურვანიძეს უნდა

მამულიშვილი

ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის მუზეუმში ერთი მეტად საინტერესო ექსპონატია გამოფენილი: ჟამთასვლისაგან გაცრეცილ, გაყვითლებულ ქაღალდზე ერთი შეხედვით გაუგებარი ნიშნებია გამოყვანილი, მაგრამ, თუკი კარგად დაუკვირდებით, ამ ნიშნებში ქართული ანბანის ასოებს ამოიცნობთ. ექსპონატს „დედაბრული ხელნაწერი“ ჰქვია....

აჭარა—საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე, საუკუნეების განმავლობაში იყო დედასამშობლოს მოწყვეტილი და მართალია, მისმა შვილებმა საკუთარი სისხლისა და ხორცის ფასად დათმეს მამაპაპური რწმენა, მაგრამ ქართველობისათვის მაინც არ უღალატიათ — სათუთად შეინახეს მშობლიური ენა, ანბანი, წესჩვეულებები. იქაური კაცი სიყვარულით უფრთხილდებოდა ყველაფერს, რასაც ქართული ერქვა. აჭარელ ქალს ჩადრი კი ებურა სახეზე, მაგრამ შვილებს ქართულ ანბანსა და დედაენს ასწავლიდა, კეცში გამოსაცხობად ჩასმულ სახმიადე ცომს კი ძველი ადათის მიხედვით მუდამ ჯვარს უსვამდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ აჭარაში ერთმა ბერიკაცმა ქვის ძველისძველი საწნახელი გვაჩვენა და საკვირველი სიამაყით გვითხრა:

— აგი საწნახელია, ბიძიებო, კარგად დაუკვირდით, ჩემი წინაპრები ამაში ყურძენს წურავდნენ!

— ჰურებიც ხომ იყო, მურად ბატონო? — ჰკითხა მოხუცს სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— იყო, კი. ახლაცაა დარჩენილი რამდენიმე...

„ეს გაუმარჯოს ტანჯვით შენახულ, მალვით შენახულ თქვენს ქართველობას“... — გამახსენდა იოსებ ნონეშვილის ლექსი.

კარგა ხანს ვიდექით იმ საწნახელის წინ თავდახრილები, გაჩუმებულები, ქვემოდან ყრუდ ისმოდა ყოროლის წყლის ხვივილი. აქ კი ციტრუსის ფოთლებში წყნარად ხმიანობდა წვიმა.

სწორედ იქ გავიცანი ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამია აბაშიძე. იმ დღეს ერთად მოვიარეთ კაპრეშუმისა და წინსვლის ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები, მერე კი, როცა მავთულხლართებით შუაზე გაყოფილ სარფში ვიდექით, ერთნაირად გვეჭინჭრებოდა ტანი და ერთ საფიქრალს ვფიქრობდით...

ჩაისუბნის კოლმეურნეობაში ხუთი სოფელია გაერთიანებული, მათგან ერთს, რომელსაც ახლა წინსვლას ეძახიან, ჩელტა რქმევია. „ჩელტა“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს დათრგუნვილს, დაჩოლფოტებულს... დღეს ეს სოფელი და მასთან ერთად დანარჩენებიც ავ თვალს არ ენახვება: მწვანეში ჩამსხდარი ორსართულიანი სახლები, მოასფალტებული გზები, ხიდები, საშუალო და რვაწლიანი სკოლები, საექიმო უბნები, აფთიაქი, საფუთავი ქარხანა, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სატელეფონო სადგური, ბაგა-ბაღები, სასოფლო კლუბები, ბიბლიოთეკა, სტადიონი, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მოედნები, სპორტული დარბაზები... აქაურობის მნახველს ერთი რამ უეჭველად ეცემა თვალში—ტყუილუბრალოდ გოჯი მიწაც არ არის მოცდენილი, გზისპირებსა და ციცაბო ფერდობებზეც კი ჩაი და მანდარინი, ფორთოხალი და ტუნგო, დაფნა და ლიმონია გაშენებული, ყველაფერი შრომის ოფლით არის ნაპკურები, ყველაფერს გამრჯე გლეხკაცის ხელი ეტყობა.

როცა ომგადახდილი მამია აბაშიძე თანასოფლელებმა თავმჯდომარედ აირჩიეს, კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 11 000 მანეთს შეადგენდა, ხოლო ჩაის ფოთლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 2 700 კილოგრამი იყო. ახლა წლიურმა შემოსავალმა მილიონ მანეთს გადააჭარბა, მოსავალი კი თხუთმეტჯერ გაიზარდა. ჩაისუბნის კოლმეურნეობა ძლიერ სასოფლო-სამეურნეო საწარმოდ იქცა, მისმა თავკაცმა მამია აბაშიძემ კი, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთმა მოწინავე ორგანიზატორმა, მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. ამ სამი წლის წინათ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო
პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლე
ნინის, ოქტომბრის რევოლუციის
და შრომის წითელი დროშის ორ
დენების კავალერს მამია აბაშიძ
სოციალისტური შრომის გმირი
წოდება მიენიჭა.

— ჩაისუბნელი კოლმეურნე სპო
რტსმენები აჭარის VIII სპარტაკია
დის ჩემპიონები შემთხვევით როდ
არიან, — გვითხრა „კოლმეურნ
ხელვაჩაურის რაისაბჭოს თავმ
დომარემ რაფიელ ფირცხალავამ,
ჩაისუბნელთა თავკაცი სპორტ
დიდი მოყვარული გახლავთ. მარ
ტო ის რად ღირს, რომ მისი თაო
ნობით სოფელში კეთილმოწყობ
ლი სტადიონი აშენდა. გასახდელ
ბით, საშხაპეებითა და საკუთარ
სასტუმროთი აღჭურვილი ბაზ
ასაგებად კოლმეურნეობამ 35 00
მანეთი დახარჯა. დღეს ეს სტადიო
ნი ბათუმის „დინამოს“ ფეხბურ
თელთა საწვრთნელი ბაზაა. წლ
ულს, სექტემბრისათვის ექსპლო
ტაციაში შევა ახალი საშუალ
სკოლის სპორტული დარბაზი
ლია სპორტული კომპლექსი.
იქნება კალათბურთის, ფრენბუ
თის, ხელბურთის მოედნები, მძლ
ოსნური ბილიკები და სახტო
ორმოები. ყოროლისთავის, წინს
ლის, ზედა წინსვლისა და ჩაისუ
ნის რვაწლიანი და საშუალო სკ
ლებისთვის აშენდა სპორტული დ
რბაზები. კოლმეურნეობაში 900
მცხოვრებია და აქედან 2300 ფ
ზკულტურელია. სხვათა შორ
ჩაისუბნის კოლმეურნეობაში ფ
კულტურის ორი მეთოდისტი ჰყა
— აზიზ ბალაძე და სოლომონ
ყელი. სწორედ ამ ახალგაზრდე
დამსახურებაა ის, რომ კოლმეუ

ა. იმედები და პერსპექტივები

ვალერიან ჩხარტიშვილს ჩე-
მდეგ პირველი ლიგის გუნდე-
რა გამართეს საკუთარ მინდო-
ველმა იცის, რომ „დინამომ“
„ყუბანთან“ — 1:0 და ვოლ-

ოდეთ.

ფეხბურთის მოყვარულმა უკ-
ცის, რომ ვარჯიში იანვარში
ყეთ. მკითხველს უთუოდ სურს
ნი მზადების თაობაზე უფრო
რილებით შეიტყოს...

მეორე ლიგაში ჩვენი მთავარი
ქის — „კოტაიკის“ ნაკლებ
სიულმა თამაშმა საშუალება
ცა პირველ ადგილზე გავსუ-

მოხმარდა. ვითამაშეთ სამი საკონტროლო მატჩიც: ფოთის „კოლხეთთან“ 3:2, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან (1965-66 წლებში დაბადებული ფეხბურთელები) — 2:2, და თბილისის „დინამოსთან“ — ისევ 2:2. სწორედ მესამე ეტაპმა დამარწმუნა, რომ მომზადების სწორი გზა ავირჩიეთ — ერთობ დიდი იყო განსხვავება წინა ციკლთან შედარებით.

● **ძირითადი შემადგენლობის დადგენისას ალბათ გქონდათ პრობლემები.**

— რა თქმა უნდა. ამიტომაც მოვიწვიეთ გუნდში ახალი ფეხბურთელები. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი სირთულე ალბათ ცენტრალური მცველებისა და ეგრეთ წო-

რადიციას არ ეღალატება

ვით წარმატებით ვითამაშეთ
ასვლელი ტურნირი და პირველ
აში აღმოვჩნდით. ჩემი აზრით,
ელი და მეორე ლიგის გუნ-
შორის განსხვავებას ძირითა-
ფიზიკური მომზადების დონე
სიროებს. სწორედ ამიტომ,
ნტი იმთავითვე ამ კომპონენ-
ავილეთ. დამაკმაყოფილებელი
გის მისაღებად მთელი თვე
პირდა. მეორე ეტაპი სისწრა-
და ძალისმიერ მომზადებას
ვთმეთ. პარალელურად ვითამა-
ით საკონტროლო მატჩებს.
დღეში ოთხი შეხვედრა გავ-
ეთ და ოთხივე ფრედ დავამ-
ეთ. 18 თებერვალს სიმფერო-
ის „ტავრიასთან“ სათასო მა-
ბიჯები როგორღაც დამძიმე-
ნი ჩანდნენ, განსაკუთრებით
ველ ტაიმში (0:3). მერე და მე-
ფსიქოლოგიური ტვირთი თან-
ან მოეხსნათ ფეხბურთელებს
მეორე ტაიმი შედარებით უკეთ
აშეს (1:0).

ბოლო ეტაპი...

ჩემპიონატისთვის მზადების
ასკნელი ეტაპი ძირითადად სი-
ფის განვითარებასა და ძირი-
შემადგენლობის დადგენას

დებული საყრდენი ნახევარმცველის შერჩევისას იჩენს თავს. მწენდელის ფუნქციას ამირან ანდღულაძეს ან ედიშერ კაკაბაძეს დავაკისრებთ, საყრდენი ნახევარმცველის პოსტზეც ორი კანდიდატი გვყავს — აკაკი ატუაშვილი და რევაზ შელია. თავდასხმაში ჩვენი იმედები ავთანდილ გორგილაძესთან, გიორგი ზედანიასთან და, რაღა თქმა უნდა, რევაზ ჩელებაძესთან არის დაკავშირებული.

● **თქვენთვის, როგორც მწვრთნელისთვის, რა არის ამოსავალი წერტილი, რა უფრო მნიშვნელოვანია — წინასწარ შემუშავებული სათამაშო სქემა თუ ფეხბურთელები?**

— რა თქმა უნდა ფეხბურთელები, თუმცა უკვე საკმაოდ გამყარებული სქემიდან 4-4-4-დან გადახვევაც პირადად მე გაუმართლებელ ექსპერიმენტად მიმაჩნია.

● **ნებისმიერ ადამიანს, ვისაც შეუძლია ან აპირებს რაიმე მნიშვნელოვანი გააკეთოს, თავისი კრედო აქვს...**

— მე უპირატესობას დისციპლინას ვანიჭებ. მომხრე ვარ აქტიური ფეხბურთის, არასდროს არ ვცდილობ დაცვითი ვარიანტების შემუშავებას. წინააღმდეგი ვარ პერსონალური მეურვეობისა. ყველა ფეხბურთელი თამაშობს თავის ზონაში. ამგვარი მიდგომა შეიძლება ზოგს შეზღუდულობადაც მოეჩვენოს, მაგრამ რას იზამ, ასეთია ჩემი მრწამსი....

● **მიზნები, იმედები?**

— უნდა დავმკვიდრდეთ პირველ ლიგაში. ბათუმი მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქია და უფლება არა გვაქვს ამ ტრადიციებს ვუღალატოთ. ეს, რაც შეეხება მიზანს. იმედები კი ძირითადად დაკავშირებულია ჩვენს ქალაქთან — იგი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ საყრდენ ცენტრად უნდა იქცეს.

ირაკლი ბერიაშვილი,

ფეხბურთელთა გუნდი „ცი-
აჭარაში ერთ-ერთი უძლი-
ხელბურთელები კი „კო-
ის“ საოლქო საბჭოს სახე-
ქართველოს პირველობებზე
ობენ. ჩაისუბნელი ხელბუ-
ბი თემურ შერვაშიძე, მი-
ლევაძე, ვაჟა ბოლქვაძე და
მარაშენიძე აჭარის ნაკრე-
ადგენლობაში არიან. ჩაი-
ებს ოდითგან უყვარდათ
აჭაური ფალავნები, სპო-
სტატები ახმედ ბაკურიძე,
ფალავა, ზურაბ წერეთელი,
ურიძე და ანზორ გოგი-
წარსულში აჭარის ნაკრე-
ობებს იცავდნენ, ისინი სა-
ოს ჩემპიონებიც იყვნენ
ჩათვლაში. ამ სოფლიდან
მეწონოსანი ფალავანი ჯე-
ელაძე და საქართველოს
ობის პრიზიორი ჯემალ ბა-

არულად ეწყობა შიდასა-
ნეთ სპარტაკიადები. შე-
ტარდება მინი-ფეხბურ-
ფეხბურთში, მაგიდის ჩოგ-
ჭადრაკში. მოასპარეზეთა
ჩირად ხანდაზმულ კოლმე-
ც იხილავთ. სპორტის
სახეობებიდან განვითა-
მველდოსნობა, ლელო-
ჰოკით სიგრძეზე ხტო-
სახნელი ლელობურთელე-
ის სპორტსმენთა საქარ-
პირველობაზეც კი ასპა-

ში განსაკუთრებული პო-
თ ჭადრაკი სარგებლობს.
ატონი მამია ურიგოდ
ამაშობს, მოცალეობის
ად ნახავთ ჭადრაკის და-
უმცა ყველაფერს, მგო-

ნი, მაინც ფეხბურთი ურჩევნია...

მამია აბაშიძე ჩუმად უსმენდა რაფიელ ფირცხალავას, მერე მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— მართალია ეს კაცი. ფეხბურთი ძალიან მიყვარს. სწორედ ამიტომ შევთავაზე ბათუმის „დინამოს“ ჩვენი სტადიონი — მოვიდნენ, იცხოვრონ, ივარჯიშონ, დაისვენონ... ოღონდ გამარჯვებებით გაგვახარონ და ყველაფერში დავეხმარებით, მაგათი ხმალი და ჩვენი კისერი!

— მაშ ბათუმის „დინამოს“ გულშემატკივარი ყოფილხართ...

— არა, არა, ჯერ ჩვენი „ცისკრისა“, მერე ბათუმისა და ბოლოს, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოსი“!

— ფეხბურთის შემდეგ სპორტის რომელი სახეობა მოგწონთ, რა უფრო გიყვართ?

— ფეხბურთის შემდეგ? — მუშაობა... აბა, მარტო ბურთის დევნა რას ეყოფა ადამიანს, — და ნათქვამის სიმკაცრე რომ შეერბილებინა, ბატონმა მამიამ გაიღიმა.

მამია აბაშიძე წარმოსადეგი გარეგნობის, დინჯი, საქმიანი კაცია. ერთი შეხედვით მკაცრი, შუბლშეკრული ადამიანი გვგონება, მაგრამ საკმარისია ერთხელ მაინც იხილო მისი კეთილი ღიმილი, რომ მაშინვე შეგეცვალოს აზრი და ამ ნაჯაფარ, მრავალჭირნანახ ადამიანში ნაღდი ვაჟკაცი და გულმხურვალე მამულიშვილი დაინახო.

ნუგზარ შატაიძე.

ჩვენი რესპუბლიკის საგზატკეცილო ველომრბოლელთა წარმატებები ტრეკის ოსტატთა მიღწევებთან შედარებით მოკრძალებულია, ამიტომ ყოველი ნიჭიერი ახალგაზრდის გამოჩენა სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ახლა ყველაზე პერსპექტიულად ჩვენი მწვრთნელები აჭარის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ჯონი ცივაძეს მიიჩნევენ. რას ემყარება გამოცდილ, სპეციალისტთა იმედი?

გიორგი სედნევი, ცივაძის მწვრთნელი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში“:

— ჯონის შეუძლია ექსტრა-კლასის სპორტსმენი გახდეს, რადგან შრომისმოყვარეობითა და სიბეჯითით გამოირჩევა, ნიჭიერია და თავდავიწყებით უყვარს ველოსპორტი, ყველაფერმა ამან კი არ შეიძლება ნაყოფი არ გამოიღოს

— ისეთი რთული და ვაჟკაცური ასპარეზობა, როგორიც მრავალდღიანი ველორბოლაა, — განაგრძო საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა დავით გეგეშიძემ, — სპორტსმენისაგან, ტაქტიკური აზროვნებისა და ამტანობის გარდა, ხშირად თავგანწირვასაც მოითხოვს. ცივაძემ მრავალჯერ დაამტკიცა, რომ ამის უნარიც შესწევს.

...პატარაობისას მშობლიურ ციხისძირში დააქროლებდა თავის რკინის „რაშს“, მერე ბავშვური აზარტი მოზარდს მისწრაფებად ექცა — მოინდომა კარგი სპორტსმენი გამხდარიყო. თხუთმეტი წლისა გამოცდილ ბათუმელ მწვრთნელ ალექსანდრე ვლასენკოს ჯგუფში მოხვდა. დამრიგებლის გულისხმიერებამ და შეგირდის სიბეჯითემ თავისი გაიტანა და მოკლე ხანში ჯონიმ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი, მისი მიღწევები თანდათან თვალსაჩინო გახდა. მართალია, ცივაძის ამპლუა ძირითადად საგზატკეცილო რბოლაა, მაგრამ ტრეკზეც წარმატებით ასპარეზობს. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შარშან სწორედ თბილისის ველოდრომის ოვალზე შეასრულა, როდესაც 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 4,49,0 აჩვენა.

მომავალ გამარჯვებათა იმედით

ყველა სპორტსმენი თავისი წარმატებებიდან ყველაზე მეტად ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში გამარჯვებას აფასებს. ციხისძირელ ჭაბუკს ასეთი წარმატებებიც აქვს მოპოვებული. მაგალითად, ერთი თვის წინ სოხუმში აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიზზე გამართულ 120-კილომეტრიან ჯგუფურ რბოლაში მან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა უძლიერესი მრბოლი, მათ შორის 15 სპორტის დამსახურებული ოსტატი ჩამოიტოვა და პირველი მიიჭრა ფინიშთან. ჩვენი მწვრთნელები მოუთმენლად ელოდნენ სოჭის მრავალდღიანი ველორბოლის დაწყებას, რომელშიც ცივაძე სოფლის

სპორტსმენთა საზოგადოების საკავშირო ნაკრების სახელს იცავდა. ამ შეჯიბრებაზე, რომელშიც 180 სპორტსმენი მონაწილეობდა, ცივაძე მეცხრამეტე იყო. ერთ-ერთ ეტაპზე მის ველოსიპედს საბურავი გაუსკდა და სპორტსმენმა რამდენიმე ძვირფასი წუთი დაკარგა. ეს რომ არა, ჯონი უსათუოდ უკეთეს შედეგს აჩვენებდა.

ჯონი ცივაძეს წლეულს კიდევ ბევრ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში მოუწევს გამოსვლა. გვჯერა, რომ ახალგაზრდა ველომრბოლი წარმატებით დაწყებულ სპორტულ სეზონში უფრო დიდი გამარჯვებებით გაგვახარებს.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ეშველება თუ არა სტადიონს?

„კოლმეურნის“ ქობულეთის სტადიონი თვრამეტი წლის წინათ აშენდა და ამ ხნის მანძილზე, ცხადია, რემონტიც დასჭირდებოდა. ზღვისპირისათვის დამახასიათებელმა გამუდმებულმა ავდრებმა, სტადიონის ისედაც უხარისხო ბეტონის ტრიბუნებიდან მთლიანად გადარეცხა რბილი საიზოლაციო საფარველი და ტრიბუნებქვეშ მოწყობილ სათავსებში ისევე წვიმდა, როგორც გარეთ. სპორტული ოთახები დანესტიანდა, ჭერს ხავსი და ხვიფლი მოერია. დრო გადიოდა, სტადიონის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, მაგრამ, რაკი „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭომ რემონტისათვის საჭირო სახსრები ვერ გამოძებნა, ტრიბუნები დანგრევის პირზე მივიდა.

სტადიონის ყოფილმა დირექტორმა თ. ხოფერიამ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით საქართველოს რესპუბლიკურ საბითუმო საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ დირექციას ხელშეკრულება დაუდო ტრიბუნების ქვეშ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მშენებლობის შესახებ, საქმეში ქობულეთის „კურორტვაჭრობაც“ ჩაერია და მუშაობა გახურდა — დაიწყეს კულტსაქონლის, სპორტსაქონლის, სასურსათო და ჭურჭლის მაღაზიების მშენებლობა.

ერთი შეხედვით, იქაურობას პატრონი გამოუჩნდა, რომელმაც დასავლეთ ტრიბუნებზე მშვენიერი საიზოლაციო საფარველი მოაწყო და ამით ეს ნაწილი დანგრევას გადაარჩინა, მაგრამ სამწუხაროდ, ამით სტადიონს დიდად არ ეშველა, რადგან, როგორც გამოირკვა, მშენებლებმა მხოლოდ მომავალი მაღაზიების თავზე განაახლეს იზოლაცია (სიმართლე რომ ითქვას, ისინი არც იყვნენ ვალდებულნი მთელი ტრიბუნები ვადაეხურათ), ამას გარდა, დასადგმელია სკამების დიდი ნაწილი, რომელთანაც „სპორტვაჭრობასა“ და „კურორტვაჭრობას“ არაფერი ესაქმებათ და, ცხადია, ისინი ამ სამუშაოს არც შეასრულებენ. ასე რომ, ქობულეთის სტადიონი კვლავ უპატრონოდ რჩება.

მეორე მხრივ, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჭარბი შემოსავლის ხარჯზე 1983-90 წლებში.რესპუბლიკაში უნდა აშენდეს მთელი რიგი სპორტული ნაგებობანი. ბევრ რაიონში (გორი, ახმეტა, საგარეჯო, და სხვ.) ასეთი ობიექტები უკვე აშენდა, ბევრგან კი ახლა შენდება. ერთი სიტყვით, კოოპერირების ხარჯებით სპორტული ნაგებობების მშენებლობის გამოცდილება რესპუბლიკაში უკვე გვაქვს. კარგი იქნებოდა, თუ ქობულეთელები თუნდაც თავიანთი მეზობელი ხობის რაიონის მაგალითს მიჰბაძავდნენ, სადაც ამ წესით აშენდა სტადიონი, მოეწყო საცურაო აუზი, სამი საჰყუმპალაო, მალე დამთავრდება სპორტული დარბაზი, წლეულს კი სპორტული სკოლა-ინტერნატის მშენებლობაც დაიწყება.

ჯობდა, რომ ქობულეთის რაიალმასკომს, „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს სწორედ ამ ხერხით გამოენახათ სათანადო სახსრები სტადიონის კაპიტალური რემონტისათვის.

ვაჟა წიგნაძე,

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

დებიუტანტი

სპორტული ტანვარჯიშში

გენადი სურმანიძე

დაიბადა 1975 წელს ზემო ჯოჭოში (ხელვაჩაურის რაიონი)
სიმაღლე — 121 სმ
წონა — 21 კგ
მწვრთნელი — მიხეილ კოლესნიკოვი
ვარჯიშობს ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სკოლაში. სავარჯიშოდ სოფლიდან დაჰყავს მამას.
სწავლობს ზემო ჯოჭოს საშუალო სკოლის II კლასში.
აჭარის ჩემპიონი თავისი ასაკის მოსწავლეთა შორის
25 აპრილს იასპარეზებს თბილისში, „მართვეს“ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში.

სპორტში ნაწრთობი მეგობრობა

ლელობურთი — ქართული ეროვნული სპორტის ეს ერთ-ერთი საინტერესო სახეობა დიდი პოპულარობით სარგებლობდა 40-50-იან წლებში.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ვეტერან სპორტსმენებს დღესაც დიდი მეგობრობა აკავშირებთ. და აი, ამასწინათ ქობულეთელებმა მიიწვიეს ჩოხატაურელი ძველი ლელობურთელები, რომლებთან ერთადაც 30 წლის წინათ გამოდიოდნენ მწვანე მინდორზე. სტუმარ-მასპინძლები ქობულეთის ცენტრალურ სტადიონზე შეიკრიბნენ, გაიხსენეს განვლილი სპორტული ბრძოლები, მოიგონეს უდროოდ წასული მეგობრები, სამახსოვრო ფოტოსურათიც გადაიღეს. აი, ისინიც: პატიკო გოგუაძე და პეტრე მინდაძე, კახაბერ შოშიტაიშვილი და რამინ გიორგაძე, სოსო მინდაძე და ნიკოლოზ გეგიაძე, იუსტინე ცინცაძე და ვლადიმერ ჯინჭარაძე, რევაზ მეგრელიშვილი და ჯოკოტა ლაზიშვილი, გიტო ქლენტი და სტავრო იორდანიდი, გივი კალანდაძე და ჰიჰიკო გიორგაძე, ამირან სიმონიშვილი და ბიძინა ლექავა, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ასლან და ჰუსეინ ბექანიძეები...

გულთბილი შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. ვეტერანმა სპორტსმენებმა ბევრი საგულისხმო უამბეს და გაუზიარეს რესპუბლიკის პირველობის მონაწილე ახალგაზრდა ლელობურთელებს.

ლევან ტრაპაიძე.
(„ლელოს“ კორ.).
ქობულეთი.

შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონთან

დღეს მოსკოვში „ტორპედოს“ სტადიონზე, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდება ოლიმპიურ ჩემპიონს — ჩეხოსლოვაკიის გუნდს. საბჭოთა ნაკრები, როგორც ცნობილია, ემზადება ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი მატჩისთვის უნგრელ ფეხბურთელებთან, რომელიც 25 აპრილს მოსკოვში გაიმართება.

10 აპრილს გაზეთმა „ჩესკოსლოვენსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაც მწვრთნელი ევჟენ ჰადამჩიკი მოსკოვის მატჩისთვის ამზადებდა. ესენი არიან: მეკარეები მიკლოშკო და ბოროვიჩკა; მცველები კინიერი, ხოვანეცი, ლიშანიკი, ონდრა, რადა, ლევი, ნახევარმცველები ზელენსკი, სლოუპი, ბრეზინა; თავდამსხმელები შჩასნი, ვალეკი, კნოფლიჩეკი, გრიგა და პოკლუდა.

საინტერესოა, რომ სადღეისოდ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებსა და ამ ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში ძირითადად ერთი და იგივე ფეხბურთელები თამაშობენ. ოლიმპიელთა მწვრთნელი ჰადამჩიკი ვერ იყენებს მხოლოდ რამდენიმე ცნობილ ვეტერანს (მცველები ფიალა, იაკუბეცი, პროკეში; ნახევარმცველი კოზაკი, თავდამსხმელი ვიზეკი), რომელთაც, დებულების თანახმად, ოლიმპიურ ტურნირში გამოსვლის უფლება არა აქვთ.

25 მარტს ოლიმპიურმა ნაკრებმა საწვრთნელი მატჩი გამართა პირველი ლიგის კლუბ „რუდა ჰვეზდასთან“ (ხები) და დამარცხდა — 2:3. 56-ე წუთამდე ანგარიში იყო 2:0 ოლიმპიელთა სასარგებლოდ (ბურთები გაიტანეს სლოუპმა და ლევიმ), მაგრამ შემდეგ უპირატესობა ხელთ იგდო „რუდა ჰვეზდამ“ და გაიმარჯვა კიდეც.

28 მარტს ერფურტში ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიელები დამარცხდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ ნაკრებთან — 1:2, თუმცა, გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ მიმომხილველის ლალისლავ იეჟეკის აზრით, მეტოქეზე უკეთ თამაშობდნენ. სტუმართაგან ერთადერთი გოლი გაიტანა ცენტრფორვარდმა გრიგამ.

—7 აპრილს ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი ვერონაში იტალიის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატჩში მონაწილეობდა. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ იტალიელებისთვის ჩეხოსლოვაკიელები მეტად „უხერხული“ მეტოქეები არიან: „სკუადრა აძურამ“ ამ გუნდს უკანასკნელად 1953 წლის 13 დეკემბერს მოუგო გენუაში — 3:0. ამჯერად, იტალიელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1. სტუმართაგან გოლი გაიტანა გრიგამ. შესანიშნავად ითამაშა ჩეხოსლოვაკიელთა მეკარე მიკლოშკომ.

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს იტალიურ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებიდან:

„კორიერე დელო სპორტი“ წერილს ასე ასათაურებს: „ჩეხოსლოვაკია — ჩვენი უბედურება“. მას მოჰყავს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ფრანკო სორდილას სიტყვები, რომ თუ ჩეხოსლოვაკიის კარს გალი დაიცავდა (მან მეორე ტაიმში ბორდონი შეცვალა), იტალიელებისას კი — მიკლოშკო, ანგარიში იქნებოდა 3:0 იტალიელთა სასარგებლოდ.

„ლა რეპუბლიკა“ თვლის, რომ ისეთი თამაშით, როგორიც იტალიელებმა უჩვენეს მაყურებელს, ჩეხოსლოვაკიელებს ვერაფერს დააკლებ. **„ტემპო“** ირონიულად წერს: ბეარზოტის გუნდს, ჩეხოსლოვაკიელებთან ბევრჯერ მოუწევს შეხვედრა, სანამ ბოლოს და ბოლოს დაამარცხებდეს მათ.

„უნიტა“ იტალიელთა მთავარ ნაკლად თავდამსხმელების უგერგილო თამაშს მიიჩნევს: „სანამ ბეარზოტი შედეგიან ფორვარდს არ მონახავს, მდგომარეობა არ გამოსწორდება“, — ასეთია ამ გაზეთის მიმომხილველის დასკვნა.

გივი გამრეკელი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

13, 14 და 15 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის კალენდარული მატჩები.

„ქაირათი“ — „ჟალგირისი“ 3:0 (2:0). ბურთები გაიტანეს ვოლგინმა და ფეხლევანიდიმ (2).

დუბლიორები — 2:0.

ცსკა — „ზენიტი“ 0:0. 85-ე წუთზე არმიელმა გლუშაკოვმა ვერ გამოიყენა პენალტი. ბურთი მოიგერია მეკარე ბირიუკოვმა.

დუბლიორები — 0:1.

„არარატი“ — „დინამო“ კ. 1:1 (1:0). ერევნელი კირაკოსიანის გოლი 89-ე წუთზე გაქვითა ბესონოვმა.

დუბლიორები — 1:0.

„დნეპრი“ — „ფახთაქორი“ 1:0 (0:0). ბურთი გაიტანა პროტასოვმა.

გააფრთხილეს ტაშკენტელი სემენკა.

დუბლიორები — 7:2.

„ტორპედო“ — „დინამო“ მნ. 0:2 (0:1). ბურთები გაიტანეს სოკოლმა და კონდრატიევმა.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, უ. ფურცელაძე (ორივე — თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი).

დუბლიორები — 1:3.

„შახტიორი“ — „დინამო“ მ. 0:1 (0:0). ბურთი გაიტანა მოლოდცოვმა.

გააფრთხილეს დინამოელი გოლოვნია.

დუბლიორები — 1:0.

„ნეფთჩი“ — ასკ რ. 0:2 (0:0). გოლები: ვორობიოვი, ნიკიტინი.

დუბლიორები — 1:1.

„მეტალისტი“ — „სპარტაკი“ 0:2 (0:0). ორივე ბურთი გაიტანა როდიონოვმა.

გააფრთხილეს ხარკოველი ს. კუზნეცოვი და სპარტაკელები ბაზულევი და როდიონოვი.

დუბლიორები — 2:2.

● **განვლილ** ტურში მასპინძლებმა მხოლოდ 2 მატჩი მოიგეს 9-დან, 3 ფრედ დაამთავრეს და 4 წააგეს.

● **საუკეთესო** ბომბარდირთა სიას ლიდერობენ: ანდრეევი (ასკ), ჟელუდკოვი („ზენიტი“), მხითარიანი („არარატი“), პროტასოვი („დნეპრი“), სტუკაშოვი („ქაირათი“) და ტარასოვი („მეტალისტი“).

● **ბაქოს** „ნეფთჩის“ მეკარემ ს. კრამარენკომ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 301-ე მატჩი. ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთაგან კიეველ ბლოხინს ჩატარებული აქვს 335 შეხვედრა, ტაშკენტელ პეტრუშინს — 312 და დონეცკელ სოკოლოვსკის — 305.

● **მინსკის** დინამოელებმა სსრ კავშირის ჩემპიონატებში გაიტანეს თავიანთი მე-1000 გოლი. ეს გააკეთა კონდრატიევმა.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	6	5	1	0	16-2	11
„მეტალისტი“	6	3	3	0	9-5	9
„ტორპედო“	5	4	0	1	12-5	8
„დინამო“ მნ.	6	4	0	2	9-6	8
„ნეფთჩი“	6	3	2	1	8-6	8
„არარატი“	6	2	3	1	5-4	7
„შახტიორი“	6	2	3	1	3-2	7
ასკ რ.	6	2	3	1	9-10	7
„ქაირათი“	6	3	0	3	6-6	6
„დინამო“ თბ.	6	2	2	2	13-7	6
„ზენიტი“	6	2	2	2	6-6	6
„დინამო“ მ.	6	2	2	2	5-7	6
„სპარტაკი“	6	1	4	1	8-9	6
„დინამო“ კ.	5	1	2	2	3-4	4
„ჩერნომორ.“	6	1	1	4	3-6	3
ცსკა	6	0	2	4	1-8	2
„ჟალგირისი“	6	0	2	4	0-8	2
„ფახთაქორი“	6	0	0	6	3-17	0

საქართველოს პირველობა

14 და 15 აპრილს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის კალენდარული მატჩები.

აღმოსავლეთი ზონა. „დურუჯი“ (ყვარელი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „ივერია“ (ხაშური) — „არაგვი“ (დუშეთი) 4:1, „თორი“ (ბორჯომი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3, „შევარდენი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „სამგორი“ (გარდაბანი) 6:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „იმედი“ (თბილისი) 2:0.

დასავლეთი ზონა. „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სულორი“ (ვანი) 2:0, „მზიური“ (გალი) — „მადრევანი“-83 (წყალტუბო) 1:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 0:1, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 1:1, „დინამო“ (გაგრა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:1.

ზუგდიდის „დინამო“ და ლაითურის „გიგანტი“ V ტურის მატჩს ითამაშებენ 18 აპრილს.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავტომშ.“	6	5	0	0	13-3	10
„სპარტაკი“	5	4	1	0	16-3	9
„ივერია“	5	4	1	0	13-4	9
„შევარდენი“	5	4	0	1	9-3	8
„დურუჯი“	5	3	2	0	5-3	8
„კახეთი“	4	2	1	1	4-1	5
„მეტალურგი“	4	2	1	1	6-5	5
„მადნეული“	4	1	3	0	5-3	5
„არმაზი“	4	1	2	1	11-8	4
„იმედი“	5	1	2	2	4-5	4
„ჰერეთი“	4	1	1	2	4-5	3
ფიზკ. ინსტ.	5	1	1	3	4-9	3
„ალაზანი“	5	1	0	4	3-12	2
„თორი“	5	0	2	3	3-8	2
პოლ. ინსტ.	5	0	1	4	2-8	1
„არაგვი“	5	0	1	4	3-10	1
„სამგორი“	5	0	1	4	3-18	1

დასავლეთი ზონა

„მზიური“	5	3	2	0	12-5	7
„საპოვნელა“	5	3	1	1	12-5	7
„დინამო“ ზ.	4	3	1	0	9-5	7
„მეტალურგი“	5	2	2	1	7-3	6
„დინამო“ გ.	5	2	2	1	6-3	6
„მადრევანი“	5	2	2	1	7-5	6
„ამირანი“	5	2	1	2	7-6	5
„სქური“	5	2	1	2	6-6	5
„სალხინო“	5	2	1	2	5-8	5
„სულორი“	5	2	1	2	4-6	5
„სამეგრელო“	5	1	3	1	3-2	5
„მალაროელი“	5	1	3	1	3-4	5
„გიგანტი“	4	2	0	2	3-2	4
„ეგრისი“	5	1	2	2	7-9	4
„კოლხეთი“	5	1	1	3	9-14	3
„ბახმარო“	5	1	1	3	3-8	3
„საირმე“	5	1	0	4	3-10	2
„იმერეთი“	5	0	2	3	3-8	2

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა. „თრიალეთი“ (წალკა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:1, „განთიადი“ (კასპი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 1:1, „აბული“ (ახალქალაქი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:0, „ქიზიყი“ (წნორი) — „მაშავერა“ (დმანისი) 1:2, „იორი“ (თიანეთი) — „იბერია“ (ქარელი) 2:1, „ქართლი“ (გორის რაიონი)— „ვარძია“ (ასპინძა) 5:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ალგეთი“ (მარნეული) 3:2.

დასავლეთი ზონა. „ნარინჯი“ (ნატანები) — „ხვამლი“ (ცაგერი) 1:0, სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) — „ნავერწკალი“ (ოჩამჩირე) 2:0, „სენაკი“ (ცხაკაია) —„კოლმეურნე“ (გულრიფში) 0:1, „რაჭა“ (ამბროლაური) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 2:0, „თოლია“ (ბათუმი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 2:0, „კოლმეურნე“ (ტყიბული) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:1, „მუქურა“ (ქობულეთი)— „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 5:3, „ოდიში“ (ზედა ეწერი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 5:2.

მეორე ლიგა იწყებს ბრძოლას

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ უმაღლესი და I ლიგის გუნდების შეჯიბრებებთან ერთად ყოველწლიურად იმართება II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაც, რომლის მონაწილენი დაყოფილნი არიან ტერიტორიულ ზონებად.ისევე, როგორც შარშან, წლეულს შექმნილია 9 ზონა (უკრაინის VI ზონაში 2 ჯგუფია), საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქმენეთის გუნდები გაერთიანებული არიან IX ზონაში.

ზონის შემადგენლობა ასეთია:

1. **„ლოკომოტივი“ (თბილისი)**
2. **„კოტაიკი“ (აბოვიანი)**
3. **„კოლხეთი“ (ფოთი)**
4. **„ლოკომოტივი“ (სამტრედია)**
5. **„კოლხოზჩი“ (აშხაბადი)**
6. **„მეშახტე“ (ტყიბული)**
7. **„მერცხალი“ (მახარაძე)**
8. **„დილა“ (გორი)**
9. **„შირაკი“ (ლენინაკანი)**
10. **„ყარაბახი“ (სტეფანაკერტი)**
11. **„ხაზარი“ (ლენქორანი)**
12. **„დინამო“ (სოხუმი)**
13. **„ქიაფაზი“ (კიროვაბადი)**
14. **„სპარტაკი“ (ოქტემბერიანი)**
15. **„ავტომობილისტი“ (მინგეჩაური)**
16. **„არაზი“ (ნახიჩევანი)**
17. **„ოლიმპია“ (არტაშატი)**

ჩვენს ზონაში გათამაშება დაიწყება 22 აპრილს. II ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშებისადმი მიძღვნილ მასალებს და კალენდარს უახლოეს ნომრებში გამოვაქვეყნებთ.

ინფორმაცია

ჩემპიონები არიან ალექსეი დრეევი და ილდიკო მადლი

საფრანგეთის ქალაქ შამპინი-სიურ-მარნში დამთავრდა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (16 წლამდე).

ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა ალექსეი დრეევმა (ჟელეზნოვოდსკი). პირველობის მეორე საბჭოთა მონაწილემ ვასილი ივანჩუკმა (ტერნოპოლი) II-IV ადგილები გაიყო.

გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა უნგრელი ილდიკო მადლი. ქუთაისელმა ჰენრიეტა ლაგვილავამ VII-VIII ადგილები გაიყო.

საგარეჯოდან — სოხუმში

საგარეჯოს ჭადრაკის სახლში დამთავრდა საქართველოს ქალთა 41-ე ჩემპიონატის ნახევარფინალი. შვეიცარიული სისტემით ჩატარებულ 9 ტურში ფინალის ოთხი საგზურისათვის 26 მოჭადრაკე იბრძოდა.

8 ქულით I ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა ნათია წკეპლაძემ (ქუთაისი). 7,5 ქულით II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი გიული ალიხანაშვილი (გარდაბანი). 6 ქულით III ადგილი ერგო ოსტატობის კანდიდატს ნანა გაბადაძე (ქუთაისი). 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს სანათა მიშველაძემ (აფხაზეთი), ნონა ჰეფხოძემ (ქუთაისი), ნანა ლექავამ (სამტრედია), მზი ფანიაშვილმა (რუსთავი) და ეკა შონიამ (ცხაკაია). კოეფიციენტთა ცხრილით IV ადგილი ფანიაშვილს მი კუთვნა.

შეჯიბრების ყველაზე ნორჩმა მონაწილემ 8 წლის ეკა ტაბატაძ (საგარეჯო) 4 ქულა მოაგროვა.

საქართველოს ქალთა ჩემპიონა ტის ფინალი 3-23 ივნისს, სოხუმ გაიმართება.

დავით გურგენი

ნახევარფინალის მთავარი მსაჯ

ფინალურ ოთხეულში

საბჭოთა კავშირის მაგიდ ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმ ერთნაირი ანგარიშით (3:0) და მარცხა იუგოსლავიისა და გდ ის გუნდები. ამგვარად, იგი ევრო პის ჩემპიონატის ფინალურ ოთხ ულში გავიდა.

ჩვენი ვაჟები ქვეჯგუფში იუგ სლავიის გუნდთან დამარცხების შ მდეგ (1:5) ბრძოლას განაგრძობ V-VIII ადგილებისთვის.

იუნიორთა საკავშირ

ნოვოპოლოცკში დამთავრ იუნიორ ძალოსანთა (20 წლამდ საკავშირო პირველობა, რომელშ 12 მოკავშირე რესპუბლიკის 1 ათლეტი მონაწილეობდა. დნეპრ პეტროვსკელმა ს. ნაგირნიმ 110 წონითი კატეგორიის ათლეტებ გაიმარჯვა და პირველად შეასრუ საერთაშორისო კლასის სპორტ ოსტატის ნორმატივი — 415 თუ ამ შედეგის მიხედვით ვიმს ლებთ, მას წარმატებით შეეძ ასპარეზობა მოზრდილთა შორ

თავი გამოიჩინეს სომხეთისა რსფსრ-ის იუნიორმა ათლეტებ რომლებმაც 30 საპრიზო ადგი დან 9-9 მოიპოვეს.

წონითი კატეგორიების მიხედ გაიმარჯვეს ფერგანელმა ი. ისა ვმა — 225 კგ, ლენინაკანელ ი. მილიტოსიანმა — 242,5 კგ პ. ეგიკიანმა — 265 კგ, ზაპორ ჟიელმა ვ. ალიოშკინმა — 297,5 იჟევსკელმა ო. ხომიაკოვმა — 32 კგ, ბრიანსკელმა ი. შევცოვმა 357,5 კგ, ზაპოროჟიელმა ს. რილევმა — 367,5 კგ, ტულელმა სერიოგინმა — 385 კგ, დნეპროძ ჟინსკელმა ს. ნაგირნიმ — 415 და ერევნელმა ა. ბაბაიანმა —395

რედაქტორი ა. გოგელ

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლე
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81
93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წე
ლების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით